

BMJ Best Practice

ზღვის ტოქსინები
(საქსიტოქსინი,
ტეტროდოტოქსინი,
კონოტოქსინი)
უშუალოდ პაციენტის მოვლის ადგილას



სარჩევი

მიმოხილვა	3
შეჯამება	3
განსაზღვრება	3
თეორია	4
ეპიდემიოლოგია	4
ეტიოლოგია	4
პათოფიზიოლოგია	6
შემთხვევის ანამნეზი	6
დიაგნოზი	8
მიდგომა	8
ანამნეზი და გასინჯვა	10
რისკფაქტორები	12
კვლევები	13
დიფერენციული დიაგნოზები	16
კრიტერიუმები	18
მართვა	20
მიდგომა	20
მკურნალობის ალგორითმის მიმოხილვა	21
მკურნალობის ალგორითმი	22
პირველადი პრევენცია	25
მეორეული პრევენცია	25
განხილვები პაციენტთან	25
მეთვალყურეობა	27
მონიტორინგი	27
გართულებები	28
პროგნოზი	28
გაიდლაინები	30
დიაგნოსტიკური გაიდლაინები	30
მკურნალობის გაიდლაინები	30
ონლაინ რესურსები	31
წყაროები	32
განმარტება	36

შეჯამება

ზღვის ტოქსინები (საქსიტოქსინი, ტეტროდოტოქსინი, კონოტოქსინი) ზღვის ფლორისა და ფაუნის მიერ პროდუცირებული ნაერთების მრავალფეროვანი ჯგუფია, რომელიც პოტენციურად საშიშროა ადამიანებისთვის. დიაგნოზი კლინიკურია, ეფუძნება ნიშნებსა და სიმპტომებს და ზღვის პროდუქტების ან მოლუსკების საკვებად მოხმარების, ან ნიჟარების შეგროვების, ზღვაში ცურვის ან ბანაობის, ყვინთვის ან აკვარიუმის მოვლის ანამნეზს.

დადასტურება უმეტესად ხდება შესაბამისი უწყებების მიერ მოლუსკში ან თევზში ტოქსინის ამოცნობით.

დამხმარე მოვლა წარმოადგენს მკურნალობის მთავარ ფაქტორს, ვინაიდან ტოქსინების სანინალმდეგო ეფექტური ანტიდოტები არ არსებობს.

სათანადო მკურნალობის ფონზე პაციენტების უმეტესობა სრულად გამოჯანმრთელდება. ზოგიერთ მათგანთან ვლინდება პერსისტული ნევროლოგიური სიმპტომები, რომლებიც გრძელდება დღეების ან კვირების განმავლობაში, თუმცა აღნიშნული პერიოდის შემდეგ სრულად გამოჯანმრთელდებიან.

განსაზღვრება

ზღვის ტოქსინები წარმოადგენს ზღვის ფლორასა და ფაუნას მიერ წარმოებული ნაერთების მრავალფეროვან ჯგუფს, რაც პოტენციურად საშიშროა ადამიანებისთვის. ზემოქმედება ხდება ზღვის შხამიან არსებებთან უშუალო კონტაქტით, მათი საკვებად გამოყენებით ან დაბინძურებული ზღვის პროდუქტების მიღებით.

მიმდინარე თემა შეეხება ნეიროტოქსინებს: ტეტროდოტოქსინს, საქსიტოქსინსა და კონოტოქსინს.

- ჩვეულებრივ, საქსიტოქსინი ორგანიზმში ხვდება დაბინძურებული მოლუსკის მეშვეობით.
- ტეტროდოტოქსინთან კონტაქტი უკავშირდება ხორკლიანი კანის მქონე თევზის (ფუგუ) მიღებას ან ლურჯგოლიან რვაფეხასთან უშუალო კონტაქტს.
- კონოტოქსინებით ინტოქსიკაცია ხდება ზღვის შხამიან ლოკოკინებთან კონტაქტის შედეგად.

აღნიშნულმა ტოქსინებმა შეიძლება გამოიწვიოს გასტროენტეროლოგიურ ტრაქტთან დაკავშირებული და ნევროლოგიური სინდრომები გულის, კუნთის და ნეირონული ქსოვილის აღგზნებად უჭრედებში ნატრიუმის არხების ბლოკირებით. კონტაქტის შემდგომი სიმპტომები შეიძლება მოიცავდეს პერიორულ პარესთეზიას, სისუსტეს, გავრცელებად დაბუჟებასა და ატაქსიას. მიუხედავად იმისა, რომ სიმპტომატიკა დამოკიდებულია კონკრეტულ შხამიან სახეობაზე, ჩვეულებისამებრ, გამოვლინება სწრაფია და ვითარდება წუთებიდან საათების განმავლობაში. იშვიათ შემთხვევებში, მძიმე ინტოქსიკაციამ შეიძლება გამოიწვიოს კუნთების დუნე დამბლა, სუნთქვის უკმარისობა და სიკვდილი.[1]

[BMJ] talk medicine podcast: marine toxins poisoning, with Dr Jacob Lebin] (<https://soundcloud.com/bmjpodcasts/marine-toxins-poisoning-with-dr-jacob-levin>)

ეპიდემიოლოგია

ზღვის ტოქსინებით მოწამვლის შემთხვევები მთელ მსოფლიოშია აღწერილი და მისი მასშტაბები იზრდება გლობალური დათბობის, ზღვის პროდუქტებზე გაზრდილი მოხმარების და ტოქსიკური წყალმცენარეების ყვავილობის გავრცელების გამო.[2] [3]

საქსიტოქსინთან კონტაქტი

- საქსიტოქსინის შემცველი მოლუსკი ბინადრობს ზომიერ და ტროპიკულ წყლებში, მაგრამ განსაკუთრებით წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთით.
- დაავადების ეპიდემიოლოგია შეიძლება განვითარდეს ზღვის ტოქსიკური წყალმცენარეების ყვავილობის დროს, განსაკუთრებით Alexandrium-ის სახეობის დინოფლაგელატების შემთხვევაში, რადგან მკვებავი მოლუსკები იგროვებენ ტოქსინს და მათი მიღება საშიშია.[4]
- 2020 წელს აშშ-ში დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებმა დააფიქსირეს "წყლის ყვავილობის" (ტოქსიკური წყალმცენარეების ყვავილობის) 227 შემთხვევა, რომელთაგან ხუთი მიუთითებს კონკრეტულად საქსიტოქსინის არსებობაზე.[5]

ტეტროდოტოქსინთან კონტაქტი

- გავრცელებულია იაპონიაში, ტაივანში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ავსტრალიაში ხორკლიანი თევზისა და ლურჯგოლებიანი რვაფეხას გეოგრაფიული სიახლოვის გამო.
- სპორადული შემთხვევები დაფიქსირდა აშშ-ში, თუმცა ეს გამომწვეული იყო ენდემური რაიონებიდან იმპორტირებული ხორკლიანი თევზით.[6]
- ტეტროდოტოქსინი აღმოჩენილია სპორადულად მოლუსკებში ევროპის ტერიტორიაზე. ერთი შემთხვევა დაფიქსირებულია ესპანეთშიც, თუმცა საერთო მოსახლეობის რისკი უცნობია.[7]

კონოტოქსინთან კონტაქტი

- კონოტოქსინები წარმოადგენს ტოქსინების ჯგუფს კონუსისებრი ლოკოკინას შხამში.[8]
- კონოტოქსინის მწარმოებელი კონუსისებრი ლოკოკინები ბინადრობენ წყნარი და ინდოეთის ოკეანის ტროპიკულ გარემოში.[9] ღამით აქტიური კონუსისებრი ლოკოკინები უმეტესად გვხვდებიან კლდეების ქვეშ, პლაჟების გასწვრივ და რიფების ახლობლად.[10]

ზღვის ტოქსინებით მოწამვლის შესახებ ეპიდემიოლოგიური მონაცემები მწირია და სავარაუდოდ არასაკმარისადაა დაფიქსირებული ისეთი ფაქტორების გამო, როგორცაა რეგიონული ვარიანტობა ანგარიშგების ვალდებულების კუთხით და დიაგნოსტიკური ტესტირების შესაძლებლობები. შესაბამისად, ზღვის ტოქსინით ინტოქსიკაციის ინციდენტობა და პრევალენტობა სავარაუდოდ უფრო მაღალია, ვიდრე ეს ცნობილია. გამოქვეყნებული ეპიდემიოლოგიური მონაცემები მეტწილად მოპოვებულია აღწერილი შემთხვევებიდან ეპიდემიოლოგიის დროს; მაგალითად, ალასკაში დაფიქსირდა პარალიზური მოწამვლა საქსიტოქსინით 54 ცალკეული ეპიდემიოლოგიის სახით, 20 წლის განმავლობაში (1973-1992).[11] 1998-2002 წლებში აშშ-ში აღირიცხა კიდევ შვიდი ეპიდემიოლოგიის შემთხვევა, სულ 43 შემთხვევა.[12]

ეტიოლოგია

საზღვაო ტოქსინები გვხვდება საზღვაო სხვადასხვა სახეობებში.

საქსიტოქსინი

- საქსიტოქსინი მოიცავს ნეიროტოქსინების ჯგუფს, რომელიც გვაძლევს სიმპტომებს ნატრიუმის არხების ბლოკირებითა და ნერვულ ქსოვილში იმპულსის გავრცელების შეკავებით.
- დინოფლაგელატების მიერ წარმოებული, ფიტოპლანქტონის ტიპისა; მონამვლა გამოწვეულია მოლუსკის მიღებით, რომელიც იკვებება ფიტოპლანქტონით, განსაკუთრებით დინოფლაგელატების სახეობა Alexandrium-ით და ახდენს საქსიტოქსინის კონცენტრირებას.[13] საქსიტოქსინი ასევე შეიძლება წარმოიქმნას ციანობაქტერიის მიერ და შეიძლება შეგვხვდეს გარკვეულ კიბორჩხალებში.
- საქსიტოქსინი, წესისამებრ, გროვდება მოლუსკის ხორცში მავნე წყალმცენარეების აყვავებისას და შეიძლება განადგურდეს მისი მოხარშვისას. საქსიტოქსინით დაბინძურებული მოლუსკის მიღება იწვევს პარალიზური მოლუსკით მონამვლის სინდრომს.
- საქსიტოქსინი ძლიერმოქმედი ნეიროტოქსინია, უფრო ტოქსიკური, ვიდრე ნატრიუმის ციანიდი (ლეთალური დოზა 50: საქსიტოქსინი 10 მკგ / კგ, ციანიდი 10 მგ / კგ).

ტეტროდოტოქსინი

- ტეტროდოტოქსინი გავლენას ახდენს ნატრიუმის არხების ბლოკირების, ნერვის გამტარებლობისა და კუნთების მოქმედების პოტენციალის შეჩერების მეშვეობით. მონამვლამ შეიძლება გამოიწვიოს მზარდი დამბლა და სუნთქვის უკმარისობით გამოწვეული სიკვდილი.
- არაცილოვანი, ტუტე ტოქსინი, რომელიც სითბოსა და მუჟას წინაშე მდგრადია. ის გვხვდება ხორკლიანი თევზის ოჯახის უამრავ სახეობებში, ასევე ღორჯოსებრებში, ამფიბიებში, უხერხემლოებსა და ლურჯგოლებიან რვაფეხებში. ხორკლიანი თევზის უსაფრთხო მოხმარებისთვის საჭიროა თევზის შესაბამისი სახეობის ზუსტი ამოცნობა და საკვების ზედმიწევნითი მომზადება.
- ყველაზე ხშირად ფიქსირდება ხორკლიანი თევზის მოხმარების ან ლურჯგოლებიან რვაფეხასთან კონტაქტის შემდეგ. ხორკლიანი თევზის 20-ზე მეტი სახეობა შეიცავს ტეტროდოტოქსინს.[14] ხორკლიან თევზში დაგროვილი ტეტროდოტოქსინის რაოდენობა დამოკიდებულია სახეობაზე და სეზონზე, თუმცა უმეტესად კონცენტრირებულია ღვიძლში, საკვერცხესა და ნაწლავში.[15] ინტოქსიკაცია ლურჯგოლებიანი რვაფეხას გამო განაპირობებულია ნერწყვით, უმტკივნეულო ნაკბენის შედეგად.[16] ტეტროდოტოქსინი ასევე გამოვლინდა გასტროპოდებში, ტრიტონებში, კიბორჩხალებში და ნემერტინებში.

კონოტოქსინი

- კონოტოქსინები წარმოადგენს ტოქსინების ჯგუფს კონუსისებრი ლოკოკინას შხამში.[8]
- კონოტოქსინის შხამი Conus-ის სახეობის კონუსისებრი ლოკოკინებისგან წარმოიქმნება. აღნიშნული გვარი შედგება ლოკოკინების 500-ზე მეტი სახეობისგან. თითოეულ სახეობას გააჩნია თავისი განსხვავებული შხამი, რომელიც შეიცავს შხამის 100-ზე მეტ კომპონენტს. მოშხამვა ვითარდება თავდაცვითი დარტყმისას, როდესაც შხამის ინექცია ხდება ერთი ღრუ კბილის მეშვეობით.[17] კონუსისებრი ლოკოკინას ნიჟარის გარსის ზომასა და შეყვანილი შხამის რაოდენობას შორის წრფივი კორელაცია არსებობს.
- Conus geographus შხამის ანალიზებით იდენტიფიცირდა ბევრი კონოტოქსინი, რომლებიც იწვევს ძლიერ პარალიზურ ეფექტებს, რაც აზიანებს სხვადასხვა იონურ არხს, მათ შორის, ნატრიუმის პოტენციალდამოკიდებულ არხებს, კალციუმის პრესინაფსურ არხებს, ნატრიუმის პოსტინაფსურ არხებს და კუნთოვანი ტიპის ნიკოტინურ რეცეპტორებს.[18] კონუსისებრი ლოკოკინების სხვადასხვა შხამებში დაახლოებით 50,000 სხვადასხვა ტიპის აქტიური კომპონენტია.[17] კონოტოქსინებს აქვს

იონური არხებისადმი მაღალი სპეციფიკურობა, სხვადასხვა მდგომარეობების დროს თერაპიულად გამოყენების შემთხვევაში ტკივილის კონტროლისა და კარდიოპროტექციის პოტენციალის მქონეა.

პათოფიზიოლოგია

ზღვის ტოქსინებით ინტოქსიკაცია გამოწვეულია ზღვის დაბინძურებული პროდუქტების ან შხამიანი არსებების მიღებით ან მათთან უშუალო კონტაქტით.

როგორც ტეტროდოტოქსინის, ასევე საქსიტოქსინის მიღება და სწრაფი შეწოვა პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და კუჭ-ნაწლავის სისტემის მეშვეობით ხდება.[19] სისხლში მოხვედრის შემდეგ, ტეტროდოტოქსინი და საქსიტოქსინი ახდენს ნატრიუმის არხების ბლოკირებას გულის ალგზმებად უჯრედებში, კუნთსა და პერიფერიულ ნერვულ სისტემაში.[14] აღნიშნული ტოქსინები ზღუდავს ნატრიუმის შემოდინებას ნერვულ აქსონებში და აჩერებს ნერვული იმპულსის გავრცელებას, რაც გამოიხატება მზარდი დამბლით.[20]

კონოტოქსინები წარმოადგენს ტოქსინების ჯგუფს კონუსისებრი ლოკოკინას შხამში.[8] კონოტოქსინი შეიცავს 100-ზე მეტ კომპონენტს, რომლებიც მოქმედებს რეცეპტორების ფართო სპექტრზე. ინტოქსიკაციის შემდეგ ეს კომპონენტები ხშირად იწვევს მძიმე ფორმის ტკივილის სინდრომს, რაც განპირობებულია კალიუმისა და კალციუმის არხებისა და ნიკოტინური აცეტილქოლინის რეცეპტორების აქტიურობით.[21] ტეტროდოტოქსინის მსგავსად, კონოტოქსინი შეიცავს აქტიურ შენაერთებს, რომლებიც ემაგრება ნატრიუმის არხებს და შეუძლია გამოიწვიოს პროგრესირებადი დამბლა.

შემთხვევის ანამნეზი

შემთხვევის ანამნეზი #1

48 წლის ქალი გვიან ღამით ოჯახთან ერთად საავადმყოფოში მოვიდა. უჩივის შფოთვის, პერიორალურ დაბუჟებას, ყლაპვის გაძნელებას, მზარდ სისუსტეს, ფეხზე დგომის გაძნელებასა და ქოშინს. პაციენტი შიშობს, რომ "მაღე მოკვდება". მან ოჯახის წევრებთან ერთად ადგილობრივ პლაჟზე მიდიების მოსავალი აღნიშნა და ზღვის პროდუქტი მიირთვა. მიდიები საღამოს, ზღვის მიმოქცევის დროს შეაგროვა. პაციენტის ანამნეზში საყურადღებოა ჰიპერტენზია და ჰიპერლიპიდემია, თუმცა არ აღნიშნება ფილტვის ან ნევროლოგიური დაავადების ანამნეზი. ოჯახის რამდენიმე სხვა წევრიც უჩიოდა პერიორალურ დაბუჟებას საკვების მიღებისას. ერთ-ერთი მათგანი უჩივის სისუსტეს. გასინჯვით ვლინდება პროქსიმალური კუნთების სისუსტე (5-დან 3-4) და პაციენტს არ შეუძლია წამოდგომა სიარულის ტესტირების ჩასატარებლად. სასიცოცხლო ნიშნები ნორმის ფარგლებშია, გარდა ჰიპერტენზიისა (არტერიული წნევა 178/98 მმ ვწყ სვ). გასინჯვით სხვაგვარი პათოლოგია არ ვლინდება. ლაბორატორიულად ელექტროლიტური დარღვევა არ ფიქსირდება. ამოსუნთქვის ნაკადის სიჩქარის პიკი დაბალია - 140 ლ/წუთში (პროგნოზული 500 ლ/წუთში). პაციენტის თქმით, სიმპტომები უარესდება გამოკვლევების პერიოდშიც. რეგიონული ტოქსიკოლოგიურ ცენტრი საქმის კურსშია. პლაჟი, სადაც ოჯახმა მიდიები შეაგროვა დახურული იყო ჯანდაცვის ადგილობრივი დეპარტამენტის მიერ, მოლუსკებში საქსიტოქსინის მომატებული დონის გამო. ოჯახმა სიბნელეში ვერ შენიშნა დახურვის სანიშნე აბრა. პაციენტი საავადმყოფოში მიიღეს დაკვირვებისა და მონიტორინგის მიზნით. ორი საათის შემდეგ, სატურაცია ეცემა 86%-მდე და ამოსუნთქვის შემდგომი CO# იზრდება 58 მმ.ვწყ.სვ.-მდე. პაციენტს ჩაუტარდა სედაცია, ოროტრაქეული ინტუბაცია და ვენტილაცია. მომდევნო დღეს სისუსტემ მზარდად იკლო. არტერიული წნევა დაქვეითდა. ვენტილაცია გაგრძელდა 18 საათი და შემდეგ აღინიშნა წარმატებული სპონტანური სუნთქვა და ჩატარდა ექსტუბაცია. 24 საათის შემდეგ პაციენტი გაეწერა. სისუსტე გრძელდებოდა, თუმცა მდგომარეობა უმჯობესდებოდა.

შემთხვევის ანამნეზი #2

27 წლის მამაკაცი სოლომონის კუნძულებიდან ყვინთვის ექსპედიციიდან დაბრუნდა. მას აღენიშნება მზარდი სისუსტე, კოორდინაციის დარღვევა, ყლაპვის გაძნელება და ქოშინი. ის უკანა რეისით მას შემდეგ დაბრუნდა, რაც წინა ღამე ყვინთვისას ლამაზი ნიჟარების შეგროვებაში გაატარა. როგორც მას ახსოვს, მარჯვენა ხელზე მწვავე ტკივილს გრძნობდა და 30 წუთის შემდეგ სისუსტე გამოუვლინდა. ფრენისას გამოიხატა მზარდი სისუსტე და სიარულის გაძნელება, საავადმყოფოში გადაიყვანა სასწრაფო დახმარების ბრიგადამ. გასინჯვისას მარჯვენა ხელის გულზე აღმოაჩნდა ნაჩხვლეთი ჭრილობა ერითემისა და შეშუპების გარეშე. უჭირს ლაპარაკი, შეინიშნება ორმხრივი პტოზი და არ აქვს პირღებინების რეფლექსი. ყველა პერიფერიული კუნთის ჯგუფი სუსტია (5-დან 3-4) პაციენტი დისკოორდინირებულია, მათ შორის დარღვეულია სიარული და მოძრაობის სწრაფი შეცვლა. ამოსუნთქვის ნაკადის სიჩქარის პიკი შეადგენს 200 ლ/წუთში (პროგნოზული 600 ლ/წუთში). გასინჯვით სასიცოცხლო მაჩვენებლები ნორმის ფარგლებშია. პაციენტის თქმით, სიმპტომები უარესდება გამოკვლევების პერიოდშიც. დაუკავშირდნენ რეგიონულ ტოქსიკოლოგიურ ცენტრს. შესაბამისი ნიჟარები შეისწავლეს და აღმოჩნდა, რომ კონუსისებრი ლოკოკინის ნიჟარა *Conus geographus*, წააგავს პაციენტის მიერ შეგროვებულ ნიჟარებს.

სხვა გამოვლინებები

ტეტროდოტოქსინით მოწამვლის სიმპტომები, მაგალითად, მუცელნემსას საკვებად მიღების ან ლურჯგოლებიან რვაფეხასთან კონტაქტის შემდეგ, შეიძლება იყოს: შფოთვა, პირის დაბუჟება, პროგრესირებადი სისუსტე და პროგრესირებადი დამბლა, რაც იწვევს სუნთქვის უკმარისობას.

მიდგომა

ზღვის მრავალი ტოქსინი პოტენციურად საშიანოა ადამიანებისათვის. ტოქსინებმა, რომლებიც ახდენენ ნატრიუმის არხების ბლოკირებას, მათ შორის საქსიტოქსინი, ტეტროდოტოქსინი და კონოტოქსინი, შეიძლება სწრაფად გამოიწვიოს მზარდი ნევროლოგიური გართულება სასუნთქი გზების დამცავი რეფლექსების დაკარგვით და შედეგად - აპნოე.[25]

ზღვის ტოქსინებთან კონტაქტის ამოცნობისას უნდა დადგინდეს კონტაქტის პოტენციური გზები და იდენტიფიცირდეს მზარდი ნევროლოგიური გაუარესება. ზღვის ტოქსინთან ექსპოზიციის შემთხვევების უმეტესობა ფიქსირდება ადგილობრივად. ზღვის ადგილობრივი ტოქსიკური ორგანიზმების ტოქსინებით გამოწვეული გავრცელებული სინდრომების და მათი მართვის ცოდნა მნიშვნელოვანია სანაპირო რეგიონებში მომუშავე ჯანდაცვის მუშაკებისთვის. მოგზაურობა, ზღვის პროდუქტების ხელმისაწვდომობა და ზღვის ორგანიზმების შეგროვების სიყვარული ხალხში, კიდევ უფრო გამოკვეთავს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჯანდაცვის მუშაკებმა იცოდნენ ზღვის ტოქსინებით გამოწვეული სინდრომების შესახებ. ზღვის ტოქსინთან ექსპოზირების მრავალი შემთხვევა ზღვიდან მოშორებითაც დაფიქსირდა.[12] გლობალური დათბობა ასევე ზრდის ზღვის ტოქსინებთან ექსპოზიციის რისკს იმ რეგიონებში, სადაც ადრე მსგავსი შემთხვევები არ ვლინდებოდა.[2] ტოქსიკური წყალმცენარეების ყვავილობა და ზღვის ძირითადი ორგანიზმები საჭიროებს თბილ წყლებს. ზღვის ტემპერატურის გაზრდასთან ერთად იზრდება ზღვის ტოქსინების ზემოქმედების.[22]

ზღვის ტოქსინთან კონტაქტის დადასტურება უმეტესად ხდება შესაბამისი ორგანოების მიერ მოლუსკში ან თევზში ტოქსინის გამოვლინებით.

ანამნეზი

ზღვის ტოქსინთან კონტაქტი ხდება დაბინძურებული ზღვის პროდუქტის მოხმარების შედეგად ან ზღვის ცხოველების მიერ ტოქსინების შეშვებით ორგანიზმში, რაც თავდაცვით მექანიზმს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ზღვის პროდუქტთან კონტაქტის და ნიჟარას შეგროვების, ზღვაში ცურვის ან შესვლის, ყვინთვის, აკვარიუმის მოვლისა და მოგზაურობის ანამნეზის განსაზღვრა. დაბინძურებული ზღვის პროდუქტის მოხმარების შემთხვევაში მნიშვნელოვანია გამოვლინდეს, თუ რომელი ზღვის პროდუქტის მოხმარება მოხდა, როდის, საიდან არის ეს ზღვის პროდუქტი და როგორ მომზადდა. წესისამებრ, რესტორნები აფიქსირებენ წყაროს და კომერციული წყაროსგან შეძენილი მოლუსკის პარტიის ნომერს.

სპეციფიკური ზემოქმედების ტიპებია:

- საქსიტოქსინით პოტენციურად დაბინძურებული მოლუსკის მოხმარება
- ხორკლიანი თევზის (ფუგუ) მიღება
- მოყვითალო კიბორჩხალას მოხმარება
- ლურჯგოლებიანი რვაფეხას მიერ ტეტროდოტოქსინის ინექცია
- კონუსის მიერ კონოტოქსინის შემხაპუნება.

სიმპტომები:

- ჩვეულებრივ, გამოვლინდება ორალური დაბუჟება, შფოთვა, სისუსტე, ყლაპვის გაძნელება, ლაპარაკის გაძნელება, არასაკმარისი კოორდინაცია, სიარულის გაძნელება, დამბლა და ქოშინი. სიმპტომები კონტაქტის შემდეგ მალევე ვლინდება და გაცილებით სწრაფად ვითარდება, როდესაც ზემოქმედება ძლიერია.
- ხშირია გულისრევა, ღებინება და დიარეა.

- შეიძლება გამოვლინდეს თავბრუსხვევა, პოსტურული არასრული-სინკოპე, სინკოპე და ჰიპოვოლემიის სხვა სიმპტომები.
- კონუსისებრი ლოკოკინაზა შესაძლოა ინტოქსიკაციით გამოწვეული უკიდურესი ტკივილი.

იმ პაციენტებში, რომლებიც ნევროლოგიურ სიმპტომებს უჩივიან და ზღვის პროდუქტების მოხმარებამ, მნიშვნელოვანია ქრონოლოგიის დადგენა. ზღვის ტოქსინების უმეტესობის გამოვლინება სწრაფად იწყება (კონტაქტიდან 30 წუთის განმავლობაში) და ნევროლოგიური ნიშნები და სიმპტომები სწრაფად ვითარდება; შესაბამისი მართვის პირობებში გამოჩანმართელება 24-დან 48 საათის განმავლობაში ხდება.

ფიზიკური გამოკვლევა

სასიცოცხლო ნიშნები ნორმალურია და შეიძლება შენარჩუნდეს მანამ, სანამ დამბლა არ გამოიწვევს ჰიპერკაპნიას, ჰიპოქსიას და გულსისხლძარღვთა უკმარისობას.

ფიზიკური გამოკვლევა მიმართული უნდა იყოს სისუსტის ამოცნობაზე და სასუნთქი გზების დაცვისა და ვენტილაციის ადეკვატურობის უზრუნველყოფაზე. ზღვის ტოქსინთან კონტაქტის შემდეგ, ადრეული გასინჯვით მდგომარეობა შეიძლება იყოს ნორმის ფარგლებში. სინდრომთან ერთად სწრაფადვე ვითარდება კუნთოვანი სისუსტე და შეიძლება პროგრესირდეს ელვისებურად. უნდა ჩატარდეს გამოკვლევა და განმეორებითი გამოკვლევა შემდეგი ნიშნების ამოსაცნობად:

- ხმის შეცვლა, ნერწყვის გამოყოფა და ლებინების რეფლექსის შენარჩუნება
- პროქსიმული კუნთოვანი სისუსტე, გულმკერდის კედლის სისუსტე და ვენტილაციის შენარჩუნება.

დეჰიდრატაციის ნიშნებზე გამოკვლევა უნდა ჩატარდეს იმ პირებისთვის, რომლებსაც შეენიშნებათ ლებინება და დიარეა. საქსიტოქსინით მოწამვლა ხშირად იწვევს ჰიპერტენზიას. მიუხედავად იმისა, რომ ჰიპერტენზია ასოცირებული არ არის ტეტროდოტოქსინთან ან კონოტოქსინთან, აღწერილია იშვიათი შემთხვევები ტეტროდოტოქსინით პაციენტის მოწამვლის ჰიპერტენზიული გამოვლინების შესახებ.[26]

საწყისი კვლევები

ლაბორატორიული და რადიოლოგიური კვლევები, როგორც წესი, არ ამუშავდებიან ზღვის ტოქსინთან კონტაქტს. არ არსებობს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ტესტები ადამიანის სისხლში ან შარდში ტოქსინების გამოსავლენად.

დიაგნოზი კლინიკურია; ეფუძნება ნიშნებსა და სიმპტომებს და ზღვის პროდუქტების ან მოლუსკების მიღების ანამნეზს ან მოლუსკების შეგროვების, ზღვაში ცურვის ან შესვლის, ყვინთვის ან აკვარიუმის მოვლის ანამნეზს. ზღვის ტოქსინთან კონტაქტის დადასტურება უმეტესად ხდება შესაბამისი ორგანოების მიერ მოლუსკში ან თევზში ტოქსინის გამოვლინებით მაღალი ხარისხის თხევადი ქრომატოგრაფიის გამოყენებით.[27] ამ გამოკვლევების ჩატარებას ხშირად რამდენიმე დღე ან კვირა სჭირდება; კლინიკური სურათის სწორად ამოცნობა და დამხმარე მართვა მნიშვნელოვანია ზღვის ტოქსინთან კონტაქტების შემთხვევების თავდაპირველი მართვისთვის.

სხვა გამოკვლევები

პულსოქსიმეტრია, კაპნოგრაფია, ფილტვის სერიული ფუნქციური ტესტები (როგორიცაა, ფორსირებული სასიცოცხლო ტევადობა (FVC), ჩასუნთქვის უარყოფითი ძალა, ამოსუნთქვის მაქსიმალური სიჩქარე და CO#-ის დონე ამოსუნთქვის ბოლოს) და არტერიული სისხლის ტესტები ინფორმატიულია მოწამვლის სიმძიმის შესაფასებლად და სასუნთქი გზების კონტროლისა და რესპირატორული მხარდაჭერის საჭიროების მონიტორინგისთვის.

სხვა გასათვალისწინებელი გამოკვლევებია:

- გულმკერდის რენტგენი იმ პაციენტებში, რომელთაც აღენიშნებათ სასუნთქი გზების კონტროლის დაკარგვა და ფილტვისმიერი ასპირაცია.
- ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია იმ პაციენტებთან, რომლებსაც შეენიშნებათ გაურკვეველი გამოვლინებები და შესაძლო ინტრაკრანიალური პროცესები.
- სისხლის შრატის ელექტროლიტების ტესტები იმ პაციენტებთან, რომლებთანაც მოსალოდნელია გასტროინტესტინურ ტრაქტთან დაკავშირებულ მნიშვნელოვანი გართულებები და შესაძლო დეჰიდრატაცია; აღნიშნული ტესტები შეიძლება ასევე სასარგებლო იყოს პარესთეზიის სხვა მიზეზების შეფასებისას.

მომავალი კვლევები

შრატში ან შარდში ტოქსინის ანალიზი წარმოადგენს პოტენციურ ტესტს ზღვის ტოქსინების აღმოსაჩენად, მაგრამ მსგავსი კვლევები ფართოდ ხელმისაწვდომი არ არის.

ანამნეზი და გასინჯვა

ძირითადი დიაგნოსტიკური ფაქტორები

რისკფაქტორების არსებობა (ხშირი)

- რისკფაქტორები მოიცავს მოლუსკების ან მოყვითალო კიბორჩხალას მიღებას (საქსიტოქსინი); ზღვის პროდუქტის მიღებას ან ლურჯგოლებიან რვაფეხასთან კონტაქტს (ტეტროდოტოქსინი); კონტაქტს კონუსისებრ ლოკოკინასთან (კონოტოქსინი).

ორალური დაბუჟება (ხშირი)

- სიმპტომი, რომელიც გამოვლინდება ზღვის ტოქსინთან კონტაქტის ყველა აღწერილ შემთხვევაში.

დისფაგია (ხშირი)

- სიმპტომი, რომელიც გამოვლინდება ზღვის ტოქსინთან კონტაქტის ყველა აღწერილ შემთხვევაში.

დიზართრია (ხშირი) (ხშირი)

- სიმპტომი, რომელიც გამოვლინდება ზღვის ტოქსინთან კონტაქტის ყველა აღწერილ შემთხვევაში.

გულისრევა (საქსიტოქსინი, ტეტროდოტოქსინი) (ხშირი)

- სიმპტომი, რომელიც გამოვლინდება მოლუსკისა და ხორკლიანი თევზით მოწამვლის უმეტეს შემთხვევაში.

ღებინება (საქსიტოქსინი, ტეტროდოტოქსინი) (ხშირი)

- სიმპტომი, რომელიც გამოვლინდება მოლუსკისა და ხორკლიანი თევზით მოწამვლის უმეტეს შემთხვევაში.

დიარეა (საქსიტოქსინი, ტეტროდოტოქსინი) (ხშირი)

- სიმპტომი, რომელიც გამოვლინდება მოლუსკისა და ხორკლიანი თევზით მოწამვლის უმეტეს შემთხვევაში.

სისუსტე (ხშირი)

- სიმპტომი, რომელიც გამოვლინდება ზღვის ტოქსინთან კონტაქტის ყველა აღწერილ შემთხვევაში.

ატაქსია/არასაკმარისი კოორდინაცია (ხშირი)

- შეიძლება იყოს ზღვის ტოქსინთან კონტაქტის ნიშანი.

ჰიპერტენზია (საქსიტოქსინი) (ხშირი)

- ნიშანი, რომელიც გამოვლინდება მოლუსკით მოწამვლის მრავალ შემთხვევაში.

უკიდურესი ტკივილი (კონოტოქსინი) (ხშირი)

- კონუსისებრი ლოკოკინის შხამით ინტოქსიკაციის შედეგად.

ჰიპოტენზია ან გულ-სისხლძარღვთა სისტემის ხშირი არასტაბილურობა (იშვიათი)

- შეიძლება იყოს ზღვის ტოქსინით მოწამვლის ნიშანი.
- თუ მძიმეა, შეიძლება გამოვლინდეს ნებისმიერი ზღვის ტოქსინით მოწამვლისას.

სხვა დიაგნოსტიკური ფაქტორები

თავბრუსხვევა (ხშირი)

- შეიძლება იყოს ზღვის ტოქსინთან კონტაქტის ნიშანი.

პოსტურული არასრული-სინკოპე / სინკოპე (ხშირი)

- შეიძლება იყოს ზღვის ტოქსინთან კონტაქტის ნიშანი.

შოთვე (ხშირი)

- შეიძლება იყოს ზღვის ტოქსინთან კონტაქტის ნიშანი.

სასუნთქი გზების დამცველობითი რეფლექსების კარგვა (იშვიათი)

- ავადმყოფობის გაუარესების მტკიცებულება და სასუნთქი გზების კონტროლის საჭიროება ზღვის ტოქსინით მოწამვლის მძიმე ფორმის შემთხვევაში.

საკმარისი ვენტილაციის დანაკლისი (იშვიათი)

- ავადმყოფობის გაუარესების მტკიცებულება და ვენტილაციის საჭიროება ზღვის ტოქსინით მოწამვლის მძიმე ფორმის შემთხვევაში.

ჰიპოქსია (იშვიათი)

- ავადმყოფობის გაუარესების მტკიცებულება და ოქსიგენაციის საჭიროება ზღვის ტოქსინით მოწამვლის მძიმე ფორმის შემთხვევაში.

ბრადიკარდია (იშვიათი)

- ავადმყოფობის გაუარესებისა და მოსალოდნელი გულისის ხლძარღვთა კოლაფსის მტკიცებულება ზღვის ტოქსინით მოწამვლის მძიმე ფორმის შემთხვევაში.

აპნოე (იშვიათი)

- ავადმყოფობის გაუარესების მტკიცებულება და ოქსიგენაციის და ვენტილაციის საჭიროება ზღვის ტოქსინით მოწამვლის მძიმე ფორმის შემთხვევაში.

პარკუჭოვანი არითმია (იშვიათი)

- ავადმყოფობის გაუარესებისა და მოსალოდნელი გულისხილძარღვთა კოლაფსის მტკიცებულება ზღვის ტოქსინით მოწავლის მძიმე ფორმის შემთხვევაში.

რისკფაქტორები

ძლიერი

თბილი წყლები

- გლობალური დათბობა ზრდის ზღვის ტოქსინებთან კონტაქტის რისკს იმ რეგიონებში, რომლებშიც ადრე მსგავს მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.^[2] ტოქსიკური წყალმცენარეების ყვავილობისათვის და ზღვის ძირითადი ორგანიზმებისათვის საჭიროა თბილი წყალი. ზღვის ტემპერატურის გაზრდასთან ერთად იზრდება ზღვის ტოქსინების ზემოქმედების რისკიც.^[22]

მოლუსკის მიღება (საქსიტოქსინი)

- მოლუსკით მოწამვლა, მათ შორის საქსიტოქსინით გამოწვეული პარალიზური მოწამვლა ფიქსირდება დაბინძურებული ყურედან მოპოვებული მოლუსკების საკვებად მიღების შემდეგ.

მოყვითალო კიბორჩხალის მიღება (საქსიტოქსინი)

- საქსიტოქსინით მოწამვლა შესაძლებელია საქსიტოქსინით დაბინძურებული კიბორჩხალას მიღების შემდეგ.

ზღვის პროდუქტის მიღება (ტეტროდოტოქსინი)

- ტეტროდოტოქსინით მოწამვლა ყველაზე ხშირად ვლინდება იმ თევზის საკვებად მოხმარების შემდეგ, რომელიც მოგვიანებით იდენტიფიცირდება, როგორც მუცელნემსა (რომელიც კონტამინირებულია ტეტროდონტიდით).

ლურჯგოლებიანი რვაფეხას ზემოქმედება (ტეტროდოტოქსინი)

- ტეტროდოტოქსინით მოწამვლა ფიქსირდება ლურჯგოლებიან რვაფეხასთან, *Hapalochlaena*-სთან კონტაქტის შემდეგ.

კონუსისებრი ლოკოკინას ნიჟარასთან კონტაქტი (კონოტოქსინი)

- კონოტოქსინით მოწამვლა უმეტესად დაფიქსირდა კონუსისებრი ლოკოკინას ნიჟარის დამუშავების შემდეგ *Conus geographus*.

ექსპოზიცია ტოქსინებზე კვლევით/ლაბორატორიულ პირობებში

- პირები, რომლებიც მუშაობენ ზღვის ტოქსინებზე კვლევით/ლაბორატორიულ პირობებში, უნდა იღებდნენ სიფრთხილის შესაბამის ზომებს.^[1]

სუსტი

ბიოტერორიზმი

- საქსიტოქსინი, ტეტროდოტოქსინი და კონოტოქსინი აშშ-ს შესაბამისი ორგანოების მიერ გამოცხადებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოტენციურ მნიშვნელოვან რისკად, როგორც ბიოტერორიზმის შესაძლო აგენტები.^[23]

კვლევები

1-ლად შესაკვეთი ტესტები

ტესტი	შედეგი
კლინიკური დიაგნოზი კლინიკური ნიშნებისა და სიმპტომების და ზღვის პროდუქტების ან მოლუსკების მიღების ისტორიის ან მოლუსკების შეგროვების, ზღვაში ცურვის ან შესვლის, ყვინთვის ან აკვარიუმის მოვლის ისტორიის საფუძველზე.	ზღვის ტოქსინით მოწამელის ნიშნები

სხვა გასათვალისწინებელი ტესტები

ტესტი	შედეგი
პულსოქსიმეტრიით უნდა ჩატარდეს ყველა პაციენტს, რათა შეფასდეს მონამვლის სიმძიმე და სისუსტისა და დამბლის მიმდინარეობის მონიტორინგი.[28]	შეიძლება იყოს ნორმის ფარგლებში; შეიძლება აჩვენოს ჰიპოქსემია
კაპნოგრაფია უნდა ჩატარდეს ყველა პაციენტს, რათა შეფასდეს მონამვლის სიმძიმე და სისუსტისა და დამბლის მიმდინარეობის მონიტორინგი.[28]	შეიძლება იყოს ნორმის ფარგლებში; შეიძლება აჩვენოს რესპირატორული დარღვევა
სუნთქვის სერიული ფუნქციური ტესტები უნდა ჩატარდეს ყველა პაციენტს, რათა შეფასდეს მონამვლის სიმძიმე და სისუსტისა და დამბლის მიმდინარეობის მონიტორინგი.[13] [28] ტარდება სერიული ტესტები, მათ შორის ფორსირებული სასუნთქო ტევადობა (FVC) და/ან უარყოფითი ჩასუნთქვის ძალა. არ დაელოდოთ არტერიული სისხლის აირების მაჩვენებლების ცვლილებას, რადგან ეს კლინიკური დეკომპენსაციის შემდეგ, მოგვიანებით მოხდება.	შეიძლება იყოს ნორმის ფარგლებში; შეიძლება აჩვენოს რესპირატორული დარღვევა
არტერიული სისხლის აირები უნდა ჩატარდეს სასუნთქი გზების კონტროლისა და ვენტილაციის პოტენციური საჭიროების მქონე პაციენტებს შორის.[28]	შეიძლება იყოს ნორმის ფარგლებში; შეიძლება აჩვენოს აციდოზი, ჰიპერკარბია ან ჰიპოქსია
გულმკერდის რენტგენოგრაფია (რენტგენი) უნდა ჩატარდეს იმ პაციენტებს, რომლებსაც შეეწინააღმდეგებათ სასუნთქი გზების კონტროლის დაკარგვა და ფილტვისმიერი ასპირაცია.	შეიძლება იყოს ნორმის ფარგლებში; შეიძლება აჩვენოს ასპირაციის სინდრომის ნიშნები
ტავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია უნდა ჩატარდეს იმ პაციენტებში, რომლებსაც გაურკვეველი გამოვლინებები და შესაძლო ინტრაკრანიალური პროცესები აღენიშნებათ.	შეიძლება იყოს ნორმის ფარგლებში; შეიძლება აჩვენოს ტვინის ჰიპოქსიური დაზიანება
სისხლის შრატში ელექტროლიტების შემცველობა უნდა ჩატარდეს გასტროინტესტინურ ტრაქტთან დაკავშირებული ჩივილის და შესაძლო დეჰიდრატაციის მქონე პაციენტებში.	შეიძლება იყოს ნორმის ფარგლებში; შეიძლება აჩვენოს აციდოზი, თირკმლის ფუნქციის დარღვევა, ელექტროლიტური დარღვევები
ზღვის პროდუქტის ხორცში მაღალი ხარისხის თხევადი ქრომატოგრაფია დადასტურების სტანდარტული მეთოდი.[27] ამ გამოკვლევების ჩატარებას ხშირად რამდენიმე დღე ან კვირა სჭირდება; კლინიკური სურათის სწორად ამოცნობა და დამხმარე მართვა მნიშვნელოვანია ზღვის ტოქსინთან კონტაქტების შემთხვევების თავდაპირველი მართვისთვის.	დადებითია საქსიტოქსინზე, ტეტროდოტოქსინზე ან კონოტოქსინზე

ახალი ტესტები

ტესტი	შედეგი
შრატის/შარდის ტოქსინის ანალიზები • თანამედროვე, პოტენციური ტესტი ტოქსინთან კონტაქტზე.	დადებითია საქსიტოქსინზე, ტეტროდოტოქსინზე ან კონოტოქსინზე

სეგმედი

დიფერენციული დიაგნოზები

დაავადება/ მდგომარეობა	განმასხვავებელი ნიშნები/ სიმპტომები	მადიფერენცირებელი ტესტები
საკვებით მოწამვლა (სხვა მიზეზები)	გასტროინტესტინურ ტრაქტთან დაკავშირებული აშლილობის მსგავსი კლინიკური გამოვლინება (გულისრევა, ღებინება, დიარეა); როორც წესი, ეჭვი არსებობს იმ შემთხვევაში თუ რამდენიმე ადამიანს უვითარდება სიმპტომები ერთი და იგივე დაბინძურებული საკვების ან სასმლის მიღების შემდეგ.	- განავლის კულტურა: კონკრეტული პათოგენის იზოლირება. - განავალში მწიფე კვერცხუჭრედები და პარაზიტები: კონკრეტული მწიფე კვერცხუჭრედის და/ან პარაზიტის იზოლირება.
ვირუსული გასტროენტერიტი	გასტროინტესტინურ ტრაქტთან დაკავშირებული აშლილობის მსგავსი კლინიკური გამოვლინება (გულისრევა, ღებინება, დიარეა); მზარდი კუნთოვანი სისუსტის და დამბლის არარსებობა.	განავლის ვირუსული კულტურა: დადებითი დაავადების გამომწვევ ორგანიზმზე.
შფოთვა/პანიკური ეპიზოდი	მსგავსი კლინიკური გამოვლინება; ორალური დაბუჟება და სისუსტის გავრცელება; მზარდი სისუსტის არარსებობა.	არტერიული სისხლის აირები: რესპირატორული ალკალოზი, ჰიპერვენტილაციის გამო.
ცერებროვასკულარული შემთხვევა	ყლაპვისა და ლაპარაკის გაძნელება; ფოკალური სისუსტე; ფსიქიკური მდგომარეობის ცვლილება.	თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია კონტრასტის გარეშე: ჰიპერმსუბუქებელი ჰემორაგიული ინსულტისას; ჰიპერმსუბუქებელი დაზიანება იშემიური ინსულტისას, თუმცა შეიძლება არ გამოვლინდეს იშემიური ინსულტის პირველი 24-48 საათის განმავლობაში.
ბოტულიზმის ტოქსინი	გასტროინტესტინურ ტრაქტთან დაკავშირებული აშლილობის მსგავსი კლინიკური გამოვლინება (გულისრევა, ღებინება, დიარეა); მზარდი კუნთოვანი სისუსტე და დამბლა.	- შრატის, კუჭის სეკრეციის, განავლის ან საკვების ნიმუშების ბიოანალიზი: გამოავლენს <i>Clostridium botulinum</i> ტოქსინს. - საკვების ნიმუშების, კუჭის ასპირატების ან ფეკალური მასალის კულტურა: გამოავლენს <i>C. botulinum</i> ტოქსინს.

დაავადება/ მდგომარეობა	განმასხვავებელი ნიშნები/ სიმპტომები	მადიფერენცირებელი ტესტები
განივი მიელიტი	• მზარდი სისუსტის მსგავსი კლინიკური გამოვლინება; გასტროინტესტინურ ტრაქტთან დაკავშირებული აშლილობის არარსებობა (გულისრევა, ღებინება, დიარეა).	• თავზურგტვინის სითხის (CSF) ანალიზი: პლეოციტოზი ლიმფოციტების ზომიერი რაოდენობით და საერთო ცილის მომატებით. • MRI აჩვენებს ფოკალურ დემიელინიზაციას გამოსახულების შესაძლო გაძლიერებით შესაბამის დონეზე.
სიგუატერა- თევზით მონამვლის ტოქსინი	• გასტროინტესტინურ ტრაქტთან დაკავშირებული აშლილობის მსგავსი კლინიკური გამოვლინება, ორალური დაბუჟება და მგრძნობელობითი სიმპტომები კიდურებში; გულ-სისხლძარღვთა სიმპტომები; პარესთეზია, დიზესთეზია და ჰიპერესთეზია.	• მიღებული საკვები უნდა ემთხვეოდეს სიგუატერას გამომწვევ ავენტებს.[29] ლაბორატორიულმა კვლევებმა შეიძლება დაადასტუროს სიგუატერას ტოქსინის არსებობა თევზებში.[30]
საკვებისმიერი ალერგია/ აუტანლობა	• აუტანლობის ან ალერგიის გამომწვევ გარკვეულ საკვებთან კონტაქტის ანამნეზი (რძე, ლაქტოზა, გლუტენი) და სიმპტომების რეციდივი საკვების გამოცდისას; სახისა და ხახას ანგიონევროზული შეშუპება, ბრონქოსპაზმი, ჭინჭრის ციება.	• ცელიაკიას მარკერები დადებითია გლუტენის აუტანლობის მქონე პაციენტთა უმეტესობაში. • წყალბადის სუნთქვის ტესტი გამოიყენება ლაქტოზას აუტანლობის დიაგნოსტიკაში. • კოლონოსკოპია და ბიოფსია ხელს უწყობს რძის ალერგიების დიაგნოსტიკას.
ტკიპას დამბლა	• მსგავსი კლინიკური გამოვლინება მზარდი კუნთოვანი სისუსტითა და დამბლით; გასტროინტესტინურ ტრაქტთან დაკავშირებული აშლილობის არარსებობა (გულისრევა, ღებინება, დიარეა); ტკიპასთან კონტაქტის ანამნეზი.	• არ არსებობს მადიფერენცირებელი ტესტები; დიაგნოზი კლინიკურია.
გიენ-ბარეს სინდრომი	• მსგავსი კლინიკური გამოვლინება მზარდი კუნთოვანი სისუსტითა და დამბლით; გასტროინტესტინურ ტრაქტთან დაკავშირებული აშლილობის არარსებობა	• ნერვის გამტარობის კვლევები: ნერვული გამტარობის სიჩქარეების შენელება. • ლუმბური პუნქცია: თავზურგტვინის სითხეში მომატებული ცილა, ნორმალური/

დაავადება/ მდგომარეობა	განმასხვავებელი ნიშნები/ სიმპტომები	მადიფერენცირებელი ტესტები
	(გულისრევა, ღებინება, დიარეა).	ოღნავ მომატებული ლიმფოციტებით (< 50 უჯრედი/მმ³). ღვიძლის ფუნქციური ტესტი: მომატებული ასპარტატ-ამინოტრანსფერაზა, 500 ერთ/ლ; ბილირუბინი შეიძლება იყოს დროებით მომატებული, მაგრამ იშვიათად არის ისეთი მაღალი, რომ გამოიწვიოს სიყვითლე.
მთასთენია გრავის (მძიმე კუნთოვანი სისუსტე)	მსგავსი კლინიკური გამოვლინება მზარდი კუნთოვანი სისუსტითა და დამბლით; გატროინტესტინურ ტრაქტთან დაკავშირებული აშლილობის არარსებობა (გულისრევა, ღებინება, დიარეა).	- აცეტილქოლინის რეცეპტორის სანინალმდეგო ანტისხეულის ანალიზი შრატში: ტიტრი გარკვეული დონის მაღლაა (მერყეობს გამოყენებული ანალიზის მიხედვით). - ანტისხეულები კუნთისათვის სპეციფიკური თიროზინ კინაზას (MuSK) წინააღმდეგ: შეიძლება იყოს დადებითი.
ელექტროლიტური დარღვევები	მსგავსი კლინიკური გამოვლინება პირის გარშემო დაბუყებით, პარესთეზიით, სისუსტით, ჰიპოკალცემიით ან ჰიპოკალიემიით.	სისხლის შრატის ელექტროლიტები: პათოლოგიური მაჩვენებლები.

კრიტერიუმები

ტოქსინის ამოცნობა

ზღვის ტოქსინთან კონტაქტის გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე საჭიროებს გამოკვლევას კონკრეტული ტოქსინის და ტოქსინის წყაროს ამოსაცნობად და შემდგომი კონტაქტის აღმოსაფხვრელად. სპეციფიკური ამოცნობა, ჩვეულებრივ, ხდება მასური სპექტროსკოპიით.

პარალიზური მოლუსკით მოწამვლა[31]

A. დიაგნოზის კლინიკური კრიტერიუმები: ნევროლოგიური სიმპტომების გამოვლინება (მაგალითად, პარესთეზია, ატაქსია, კრანიალური ნერვების დარღვევები, დამბლა); შეიძლება არ გამოვლინდეს ან გამოვლინდეს გასტროინტესტინურ ტრაქტთან დაკავშირებული სიმპტომები; სიმპტომები ვითარდება მოლუსკის მიღებიდან წუთების/საათების შემდეგ.

B. დიაგნოზის ლაბორატორიული კრიტერიუმები: საქსიტოქსინის ამოცნობა/იდენტიფიცირება ეპიდემიოლოგიურად მითითებულ საკვებში.

C. შემთხვევის განსაზღვრება - შესაძლო: კლინიკურად თავსებადი შემთხვევა, რომელიც არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული და ეპიდემიოლოგიურად დაკავშირებული დადასტურებულ შემთხვევასთან. დადასტურებული: შემთხვევა, რომელიც ლაბორატორიულად დადასტურებულია ან შემთხვევა, რომელიც აკმაყოფილებს კლინიკური შემთხვევის განსაზღვრებას, არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული და ეპიდემიოლოგიურად დაკავშირებულია ლაბორატორიულად დადასტურებულ შემთხვევასთან.

მიდგომა

ზღვის ტოქსინთან კონტაქტის შემთხვევების საწყისი მართვა საჭიროებს კლინიკური სურათის ამოცნობას, ხშირ ხელახალ შეფასებას და დამხმარე მართვას. დადასტურება შეიძლება მოხდეს მოლუსკის ან თევზის ხორცში, ადამიანის სისხლში ან შარდში ტოქსინის ამოცნობის მეშვეობით.^[28] ექსპოზიცია ზღვის ტოქსინებზე ატარებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუარესების მნიშვნელოვან რისკს. სამთავრობო უწყებების უმეტესობა მოითხოვს საეჭვო შემთხვევების შეტყობინებას ჯანდაცვის შესაბამის უწყებებში გამოკვლევისთვის და შემდგომი კონტაქტის კონტროლისთვის.^{[27] [31] [32]}

დაკვირვება და დამხმარე მკურნალობა

ზოგადად, მწვავე ინტოქსიკაციის პერიოდი ვითარდება 24-48 საათის განმავლობაში. ამ დროის განმავლობაში მწვავე დეკომპენსაციის და სუნთქვის უკმარისობის რისკი ყველაზე მაღალია. ნებისმიერ შემთხვევაში, პაციენტთა მართვა გულისხმობს საგულდაგულო დაკვირვებას რამდენიმე საათის განმავლობაში და სისუსტის, დამბლისა და ვენტილაციის ადეკვატურობის შეფასებასა და მონიტორინგს. თუ ექსპოზიციიდან 6 საათის განმავლობაში სიმპტომები არ ვითარდება, ექსპერტული მოსაზრების მიხედვით, შეიძლება პაციენტის განერა, თუმცა მკაცრი გაფრთხილებებით.^[33] თუ პაციენტს სიმპტომები კვლავ გამოუვლინდა, აუცილებელია სწრაფად დაბრუნდეს კლინიკაში და ჩატარდეს სულ მცირე 24-საათიანი მონიტორინგი.

დამხმარე მკურნალობა ზღვის ტოქსინთან კონტაქტის მართვის მთავარი ფაქტორია. ზღვის რამდენიმე ტოქსინი ახდენს ნატრიუმის არხების ბლოკირებას და სწრაფად იწვევს მზარდ ნევროლოგიურ გაუარესებას, დამბლას, სასუნთქი გზების დაზიანებას და ვენტილაციურ უკმარისობას. ნევროლოგიური ტოქსიურობის სიმძიმის პროგნოზული ფაქტორები არ არის შესწავლილი.

ზღვის ტოქსინით მოწამვლის საეჭვო ან დადასტურებული შემთხვევები უნდა შეფასდეს და მოხდეს მონიტორინგი სასუნთქი გზების დამცველი რეფლექსების საკმარისობაზე (ღებინება და ხველება); ასევე აუცილებელია პირ-ხახის სეკრეციის კონტროლი, ოქსიგენაციის და ვენტილაციის საკმარისობა.^[14]

სასუნთქი გზების კონტროლი და მექანიკური ვენტილაცია უნდა განიხილებოდეს ზედა სასუნთქი გზების რისკის, მზარდი დამბლის ან ვენტილაციის შემცირების მქონე ნებისმიერი პაციენტისთვის. გასტროინტესტინური ტრაქტის დეკონტამინაციამ (განწმენდამ) აქტივირებული ნახშირით შეიძლება შეამციროს ტოქსინების შთანთქმა და შეამციროს მოწამვლის სიმძიმე თუკი გამოყენებულ იქნება მალე, მიღების შემდეგ.^[34] კუჭის ლავაჟი კლინიკურ პრაქტიკაში იშვიათად კეთდება ზღვის ტოქსინებით მოწამვლის ჩვენებით. მტკიცებულება არასაკმარისია ამ სიტუაციაში გამოსაყენებლად. ტეტროდოტოქსინის მოწამვლით ურემიული პაციენტის შემთხვევამ, რომელიც გამოჯანმრთელდა ჰემოდიალიზის გამოყენების შემდეგ, შეიძლება მიუთითოს დიალიზის პოტენციურ სარგებელზე თირკმელების უკმარისობის ან მძიმე გახანგრძლივებული ტოქსიურობის მქონე პაციენტებისთვის.^[35]

ზღვის ამ ნეიროტოქსინებისთვის ამჟამად არ არსებობს ხელმისაწვდომი ეფექტური ანტიდოტები. ტეტროდოტოქსინით მოწამვლის ზოგიერთი შემთხვევაში აღწერენ ანტიქოლინესტერაზული საშუალებების დადებით შედეგს ნერვ-კუნთოვანი დამბის საწინააღმდეგოდ, მაგრამ ახლახან ჩატარებულმა მიმოხილვამ არ გამოავლინა ამ სარგებელის მკაფიო მტკიცებულება.^[36]

კიდურების ზეწოლა და იმობილიზაცია (ლურჯგოლიანი რვაფეხას ნაკბენი/კონუსის ნაკბენი)

